საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოціალური დაცვის სამინისტრო

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი № 000097

17 --- დეკემბერი --- 20 17 წ. ქ. თბილისი

(ოქმის შედგენის ადგილი)

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოціალური დაცვის სამინისტროს შრომის ინსპექციის დეპარტამენტის ინსპექტორი ნინო ბეჟანიძე

(ოქმის შემდგენლის თანამდებობა, სახელი და გვარი)

2. სამართალდამრღვევი: შპს „ჯორჯიან ბროუნზი" ბულ. ქ. თბილისი, ვაჟა-საფარაძის ხეობა მიკროუბნის ქ. №27 ბ, ს/კ 230085797, დირექტორი ჯაფარიძე გიორგი ალექსანდრეს ძე.

(სახელი, გვარი, ან/ან დასახელება, ... ; ... ; ... ;

5. დარღვეულია „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 22 მუხლის პირველი პუნქტი

(ადგილობრივი ქვეუნქტი)

6. დარღვევის გამოსასწორებლად მიცემული ვადა: 180 (ოთხმოცდაათი) დღე

7. სახდელის სახე, ოდენობა: გაფრთხილება (ლარი - ჯარიმის შემთხვევაში)

8. დამრღვევის ახსნა-განმარტება:

გვაქვთ, გვასრულებენ

9. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები.

10. ოქმის შემდგენელი: _____ / _____ /

11. სამართალდამრღვევი: _____ / _____ /
სახელი და გვარი

12. მოწმე: _____ / _____ /
სახელი და გვარი ხელმოწერა

13. დაზარალებული: _____ / _____ /
სახელი და გვარი ხელმოწერა

14. დოკუმენტები, რომლებიც ერთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს:

მოითხოვა ფოტო N-1.

(ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ქმნა, გამმარტება მისმა მიერ ხელმოწერილი სხვა ქმედებები)

15. შენიშვნა:

16. სამართალდამრღვევი პირის მიერ ხელმოწერაზე ან/და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩაბარებაზე უარის თქმის შესახებ აღნიშვნა:

დამკვეთი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
დამამზადებელი: შპს „კაბადონი +“
სფს-ს რეგისტრაციის № 33-5309

შენიშვნა

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები: ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე; თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით: სასამართლოში 10 დღის ვადაში გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება (გადაწყვეტილება) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გაფრთხილება!

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დამრღვევმა ჯარიმა ნებაყოფლობით უნდა გადაიხადოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩაბარებიდან (დაცნობიდან) 30 დღის განმავლობაში. აღნიშნულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით. საურავის დაკისრებიდან 30 დღის ვადაში ჯარიმის ან/და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში განხორციელდება საჯარიმო სანქციისა და დარიცხული საურავის გადახდის იძულებითი აღსრულება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილება ჩაბარებულად ჩაითვლება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე www.moh.gov.ge გამოქვეყნების დღიდან.

დანართი 1

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ N 144
ტელ: (032) 2 51 00 26

მ ი თ ი თ ე ბ ა № 000097/ო

შედგენის თარიღი 18.12.2018 წ.

შრომის უსაფრთხოების ნორმების შემოწმების განმახორციელებელი სამსახური დამრღვევის მიმართ სახდელის სახედ გაფრთხილების და ჯარიმის გამოყენების შემთხვევაში გასცემს მითითებას გონივრული ვადაში გამოსწორების მიზნით (საქართველოს კანონის „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ 18-ე მუხლის მე-2 პუნქტი);

ობიექტის დასახელება და მისამართი:

შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ სათაო ოფისი თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, მიცკევიჩის ქ. 27ბ

შპს „ჯორჯიან მანგანეზი“, ჭიათურა გზატკეცილი საჩხერე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 10 აგვისტოს N 01-42/ო ბრძანების საფუძველზე 2018 წლის 19 ოქტომბერს განხორციელდა შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმება შპს „ჯორჯიან მანგანეზი“-ს **ბიგების ჩიხში** რომელიც მდებარეობს ჭიათურა გზატკეცილი საჩხერეს მისამართზე.

შპს „ჯორჯიან მანგანეზი“-ს საქმიანობის სფეროს წარმოადგენს თუჯის, ფოლადის და ფეროშენადნობების წარმოება (24.10.0). ინსპექტირებისას ობიექტზე მოხდა ტერიტორიის დათვალიერება, დამსაქმებელთან და დასაქმებულებთან გასაუბრება, გამოთხოვილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია, მოხდა ფოტო და ვიდეო გადაღება.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა შრომის უსაფრთხოების ნორმების შემდეგი დარღვევები.

შპს „ჯორჯიან მანგანეზი“- ახორციელებს საფრთხეების იდენტიფიცირებას და რისკების შეფასებას, რომელიც წარმოდგენილია კომპანიის ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის მიერ.

1. წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ ასახავს ობიექტზე არსებულ რეალობას, კერძოდ არ ხდება სამუშაო სივცეებში საფრთხის შემცველი ფაქტორების სრული იდენტიფიცირება და შესაბამისად მათი ჩანაცვლება უსაფრთხო ან ნაკლებად საშიში ფაქტორებით. მაგალითად, ბიგების ჩიხში არ ხორციელდება კონტროლი იდს-ების გამოყენებაზე, დარღვეულია მაღალი წნევის ქვეშ ჩაჭირხნული ბალონების ექსპლუატაციისა და დასაწყობების წესები. დარღვეულია ბალონების ექსპლუატაციის ვადები, რაც წარმოადგენს აფეთქების საფრთხეს. არ არის სააფთიაქო ყუთები. საწარმოს ტერიტორიაზე, დამსაქმებელი არ უზრუნველყოფს დასაქმებულებს სრულყოფილი სწავლებებით/ტრენინგებით საგანგებო სიტუაციებში, საევაკუაციო ღონისძიებების

განხორციელების შესახებ. აღნიშნული სწავლებების განხორციელება უნდა მიმდინარეობდეს დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად.

2. ობიექტზე მისასვლელ ხიდს არ გააჩნია მოაჯირები
3. დარღვეულია ბიგების დასაწყობების წესები, არსებობს ვარდნის საფრთხე
4. ამწის საშუალებით დატვირთვა ჩამოტვირთვის სამუშაოები მიმდინარეობს პროცედურების დარღვევით კერძოდ, არ გამოიყენება სასიგნალო სისტემა და დასაქმებულები გადაადგილდებიან ტვირთის ქვეშ.
5. ობიექტზე არ ხორციელდება სამუშაო გარემოს საშიში ფიზიკური ფაქტორების: მიკროკლიმატის პარამეტრების, ხმაურის, ვიბრაციისა და მტვრის კონცენტრაციის გაზომვა.
6. ობიექტზე შიდა მარეგულირებელი ნორმებით არ არის განსაზღვრული პირი, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს ზედამხედველობა დასაქმებულთა ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაზე.
7. დამსაქმებელი არ უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად აუცილებელ ზომებს. არ ხორციელდება დასაქმებულთა წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმება, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

N	გაცემული მითითება
1	შეიმუშავეთ და გაატარეთ სამუშაო სივრცეში და სამუშაო ადგილებზე საფრთხეების იდენტიფიცირებისა და რისკის შეფასების მართვის სისტემაზე დაფუძნებული პრევენციული ღონისძებები: იზრუნეთ არსებული რისკების თავიდან აცილებაზე; სამუშაო სპეციფიკის გათვალისწინებით ჩაანაცვლეთ საფრთხისშემცველი ფაქტორები უსაფრთხო ან ნაკლებად საშიში ფაქტორებით; შეაფასეთ და აკონტროლეთ ის რისკები და საფრთხეები რომელთა თავიდან აცილება შეუძლებელია. ***საქართველოს კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესახებ" მუხლი 6. პირველი პუნქტის „ა-დ" ქვეპუნქტები***
2	დასაქმებულები აღჭურვეთ სამუშაო სპეციფიკის და საწარმოო გარემოს ფიზიკური ფაქტორების შესაბამისად ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით(ფეხსაცმელი). უზრუნველყავით ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სისუფთავე და ტექნიკური გამართულობა, დააწესეთ კონტროლი მათ სწორ გამოყენებაზე, ასევე საჭიროების შემთხვევაში დროულად შეცვალეთ ისინი ახლით. ***საქართველოს კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესახებ" მუხლი 6, პუნქტი 2 „ზ" ქვეპუნქტი.***
3	საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით შეამოწმეთ, გაზომეთ და შეაფასეთ საწარმოო გარემოს ფიზიკური ფაქტორები: მიკროკლიმატის პარამეტრები, საწარმოო ხმაური, ვიბრაცია და მავნე აეროზოლების კონცენტრაცია • • საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს ბრძანება №297/ნ „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ". • •საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება №69 „საწარმოო სათავსების მიკროკლიმატისადმი წაყენებული ჰიგიენური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ". • საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება №67 „სამუშაო ზონის ჰაერში ფიბროგენული, შერეული ტიპის მოქმედების აეროზოლებისა და ლითონების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების დამტკიცების შესახებ" შესაბამისად.

	• საქართველოს მთავრობის დადგენილება №70 2014 წლის 15 იანვარი ტექნიკური რეგლამენტი - სამუშაო ზონის ჰაერში მავნე ნივთიერებების შემცველობის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების დამტკიცების შესახებ. ***საქართველოს კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესახებ" მუხლი 5, პუნქტი 1 „ ზ და ზ.ა ქვეპუნქტები.***
4	დასაქმებულებს ჩაუტარეთ სწავლება/ინსტრუქტაჟი საგანგებო სიტუაციების, საევაკუაციო ღონისძიებების და მათი განხორციელების შესახებ. ***საქართველოს კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესახებ" მუხლი 5, პუნქტი 2.***
5	შიდა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრეთ და გამოყავით პირი, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს და გააკონტროლებს ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი ყველა დასაქმებულის სამუშაოზე არდაშვებას. ***საქართველოს კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესახებ" მუხლი 6, პუნქტი 2 „ი" ქვეპუნქტი.***
6	საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში უზრუნველყავით დასაქმებულისთვის წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმების ჩატარება. ***საქართველოს კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესახებ" მუხლი 6, პუნქტი 2 „თ" ქვეპუნქტი.***

დამრღვევის ახსნა-განმარტება მითითების ვადასთან დაკავშირებით

(ზედამხედველი ორგანოს მიერ დადგენილი გონივრული ვადა შეიძლება შეთანხმდეს სამართალდამრღვევთან, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე)

<u>მითითების გამოსასწორებელი ვადა შეადგენს 180 (ასოცდაოთხმეტი) კალენდარულ დღეს.</u>

მითითების გამცემი (თანამდებობა, სახელი, გვარი):
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები:

შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმების განმახორციელებელი სამსახური ამ გაცემული მითითებით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ამოწმებს სამართალდამრღვევს, რის შესახებაც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტში აღინიშნება საწარმოს ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების პირობებთან მიმართებით, კერძოდ:

ა) მითითება შესრულდა.
ბ) მითითება არ შესრულდა.

მითითების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შრომის უსაფრთხოების ნორმების შემოწმების განმახორციელებელი სამსახურის უფლებამოსილი პირი იყენებს შესაბამის ადმინისტრაციულ სახდელს და აღნიშნავს მას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში.

მითითება ჩაიბარა (სახელი, გვარი, პირადი ნომერი)

სამართალდამრღვევის პირის მიერ მითითების ჩაბარებაზე უარის აღნიშვნა

უფლებამოსილი პირი:

სამართალდამრღვევი: